განცხადება

საქართველოს არქიტექტორთა კავშირი და კავშირთან არსებული მოთხილამურე არქიტექტორთა საერთაშორისო კლუბი „SKIA", მესტიის მუნიციპალიტეტის მერიასთან ერთად აცხადებს, რომ სვანეთის რეგიონის ქ. მესტიაში 25.02.2019-03.03.2019 წელს გაიმართება 41-ე საერთაშორისო შეჯიბრი-სემინარები. მესტიის მერიის მხარდაჭერით ყველა პირობაა შექმნილი სპორტული შეჯიბრებების საერთაშორისო კლასის სათხილამურო ტრასებზე შეჯიბრის, არქიტექტურული კონკურსის და სემინარ-ვორქშოპების ჩასატარებლად.

საქართველოს არქიტექტორთა კავშირის მიერ, სამთო მოთხილამურე არქიტექტორთა კლუბი „SKIA" დაარსდა 1977 წელს, წლების განმავლობაში, ზამთრის პერიოდში სისტემატიურად ტარდება ყოველწლიური შეჯიბრი-სემინარები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში. ნაცონალურ სექციებთან ერთად ღონისძიებები ასევე ჩატარდა უცხოეთის ქვეყნებში, მათ შორის: ყაზახეთში - ალმა-ატა, ბულგარეთში - პამპოროვო და ბოროვეცი, სომხეთში - წახკაძორი, რუსეთში - კიროვსკი, ტაჯიკეთში - ფრუნზე და ა.შ. ამასთან ერთად ამ სემინარებზე ყოველთვის ტარდებოდა საერთაშორისო არქიტექტორული კონკურსები გამრჯვებული პროექტების გამოვლენით, რომელთაგანაც მრავალი უკვე განხორციელებულია. აღსანიშნავია, რომ 1986 - 1989 წლებში ბაკურიანსა და გუდაურში ჩატარებულ ამგვარ ღონისძიებებზე მოწვეულნი იყვნენ შესაბამისად 20-ზე მეტი ქვეყნის სამთო თემით დაინტერესებული მსოფლიოს წამყვანი არქიტექტორები, რომლებიც მართავდნენ მასტერკლასებს, ლექციებს, ღებულობდნენ მონაწილეობას გამოცხადებულ კონკურსებში და ასევე მონაწილეობდნენ სპორტულ შეჯიბრებებში. ღონისძიებები ყოველთვის ფართოდ შუქდებოდა პრესის საშუალებით. კლუბ „SKIA" გვერდში უდგანან სპონსორები, მათ შორის კომპანია „ვულე-ვუ", კომპანია „ინსტა", კომპანია „MEDOFF", კომპანია "XTREME", ხორცპროდუქტების კომპანია „ვაკე", საართველოს მთის კურორტების განვითარების ფონდი, ადგილობრივი მუნიციპალური ორგანოები, მერიები და ა.შ.

არქიტექტორთა საერთაშორისო კავშირის წევრ ნაციონალურ სექციას, ყველა დაინტერესებულ არქიტექტორს, ან არქიტექტორთა ჯგუფს ვიწვევთ მონაწილეობა მიიღონ ზამთრის სამთო არქიტექტურული ფესტივალის მუშაობაში. (თან ერთვის საკონკურსო პირობები).

მსურველები დაუკავშირდნენ საქართველოს არქიტექტორთა კავშირის კონკურსის პასუხისმგებელ მდივანს ბ-ნ ნუგზარ დუდუჩავას, საქართველოს არქიტექტორთა კავშირის ოფისში, მისამართზე: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი 89/24, III სართული ან ტელეფონებზე: +995 (32) 291 01 16; +995 568 91 01 16.

ვებ გვერდზე: **www.competition.archinfo.ge, SKIA-ს facebook გვერდზე (https://www.facebook.com/SKIAclub/); მეილზე: archunion_geo@yahoo.com**